დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ხათუნა ლოდია

წევრები:

მარიამ მატიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ნათია დარსაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
შორენა ტყემალაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ნინო ბერიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ნინო მარღიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ნათია ნაფეტვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	226157404

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბორჯომი
ფაქტობრივი მისამართი	ბორჯომი, წმ. ნინოს ქ. N2
საფოსტო ინდექსი	1200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	borjom1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0367 (22 2874)

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	N112966 04.02.2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	05.03.2026-06.03.2026

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	ბორჯომი, წმ.ნინოს ქ. N2 (1 (ერთი) ნაგებობა)
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	ბორჯომი, წმ.ნინოს ქ. N2 (1 (ერთი) ნაგებობა)
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	ბორჯომი, წმ.ნინოს ქ. N2 (1 (ერთი) ნაგებობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 05 და 06 მარტს. ვიზიტი კონსტრუქციულად და მშვიდად წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან, განხორციელდა მატერიალური ინფრასტრუქტურის, რესურსების დათვალიერება, თანამშრომელთა პირადი საქმეების და სხვა დოკუმენტაციის შესწავლა, განათლების მართვის

საინფორმაციო სისტემაში სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება. საგნობრივმა ექსპერტებმა მიიღეს მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 600	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდ. მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N1.2.2.2	*მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით*	*შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, მეთოდოლოგიის თანახმად, სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება, განხორციელდეს წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში.* ***შესრულების ვადა - 03.2027***
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, უზრუნველყოფილ იქნას სკოლაში დასაქმებულ პირთა პირად საქმეებში, ზოგადი განათლების შესახებ კანონისა და მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისი ცნობების წარმოდგენა. (უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, სავალდებულოა, მხოლოდ 2020 წლის შემდეგ დასაქმებულ პირთათვის).* ***შესრულების ვადა - 03.2027***
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ,*	*შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში:* • *პირველი სართულის დერეფნის ვიდეომონიტორინგი განხორციელდეს სრულყოფილად;* • *უზრუნველყოფილ იქნას შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა* ***შესრულების ვადა - 03.2027***

	უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი N3.5.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	*შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, ბიბლიოთეკაში წარმოდგნილი წიგნადი ფონდი დამუშავდეს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.* ***შესრულების ვადა - 03.2027***
ინდიკატორი N3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, სკოლამ უზრუნველყოს სკოლის შენობის ადაპტირება* ***შესრულების ვადა - 19.12. 2027***
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საგაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N 2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, სკოლამ ინფრასტრუქტურულად უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების გამართვა: მოეწყოს წყალმომარაგების (ონკანის) და გამწოვი სისტემები, ხოლო სამუშაო მაგიდები აღიჭურვოს ცეცხლგამძლე და მჟავაგამძლე საფარით* ***შესრულების ვადა - 03.2027***

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, ინფრასტრუქტურულად უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების გამართვა: მოეწყოს წყალმომარაგების (ონკანის) და გამწოვი სისტემები, ხოლო სამუშაო მაგიდები აღიჭურვოს ცეცხლგამძლე და მჟავაგამძლე საფარით* ***შესრულების ვადა - 03.2027***

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-*	• *მიზანშეწონილია, სკოლამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ რეკომენაციების შესრულება დადგენილ ვადაში.* • *მიზანშეწონილია, სკოლაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დასაქმდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი* • *სკოლის ეზოს არ აქვს ღობე. სკოლას ერთი მხრიდან ესაზღვრება ქალაქის სკვერი, მეორე მხრიდან სპორტული მოედანი და სავარჯიშო მოედანი; ხოლო ორი მხრიდან სამანქანო გზა. თუმცა, სკოლის შენობაში შესვლისა და გასვლის პროცესი კონტროლდება დარაჯის მიერ. მოსწავლეთა*

	ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	*უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია ეზოს შემოღობვა.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N4.2.4.2	*სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და ხორციელდება ნებაყოფლობითობის პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას*	*მიზანშეწონილია, სასკოლო კლუბების შექმნის პროცესში გაიზარდოს მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური მონაწილეობა და ინიციატივა.*

სტანდარტი N2	***სასკოლო კურიკულუმი*** *(დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	***რჩევა***
ინდიკატორი N 2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***სპორტი*** *სამომავლოდ სასურველი იქნებოდა, რომ თითოეული კლასის კურიკულუმში, შეტანილი იყოს თემები თეორიული მიმართულებითაც.*
ინდიკატორი N 2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *სასურველია, რომ პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დაიხვეწოს ბუნებისმეტყველების III, IV კლასების კურიკულუმები. კერძოდ მკაფიოდ გაწერონ თემები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.*

ინდიკატორი N 2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***ტექნოლოგიები*** *მიზანშეწონილია, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა კლასში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.*
ინდიკატორი N 2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** *სასურველია, ბუნების მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმში დაზუსტდეს სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები.*
ინდიკატორი N 2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა კლასში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.*
ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *სასურველია, შეფასების რუბრიკებში უფრო მეტი სიზუსტით იყოს გაწერილი შესაფასებელი აქტივობა სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან მიმართებით.*
ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***სახელმწიფო ენა*** *სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ _ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას.*
ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** *სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.*
ინდიკატორი N 2.2.1.4	*სკოლაში ფუნქციონირების შეფასებ სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი*	*მიზანშეწონილია, სამომავლოდ, სკოლამ განახორციელოს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტის მიხედვით გაწერილი აქტივობები.*
ინდიკატორი N 2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	***ესთეტიკური აღზრდა*** • *საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია სკოლაში მრავალფეროვანი რესურსების სისტემური შემოტანა.*

		• *სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებასა* • *სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე.* • *რეკომენდებულია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა.* • *სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები.* • *მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის.* • *მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.*
ინდიკატორი N 2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	***ესთეტიკური აღზრდა*** • *სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებაზე* • *სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე.* • *რეკომენდებულია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა.* • *სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები.*

		• *მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში — ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის.* • *მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.*
ინდიკატორი N2.4.1.1	*იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი*	• *სასურველია, ანალიზი მოიცავდეს არა მხოლოდ მონაცემებს მოსწავლეთა მიღწევების შესახებ, არამედ მასწავლებელთა გამოწვევებსა და ინოვაციების დანერგვის პერსპექტივებსაც. ეს უზრუნველყოფს კურიკულუმის მუდმივ გაუმჯობესებასა და რეაგირებას რეალურ საჭიროებებზე.* • *სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტისთვის, სასურველია, შემუშავდეს კონკრეტული სტრატეგიები და ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც პრობლემების იდენტიფიცირებას, ისე მათ გადაჭრაზე ორიენტირებული წინადადებების ფორმულირებას. ეს შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:* • *უკუკავშირის რეგულარული ფორმების შექმნა: მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეებისგან უკუკავშირის შეგროვების სისტემატურ პროცესი.* • *მონაცემთა ბაზის შექმნა: შეგროვებული მონაცემების ორგანიზებული შენახვა და ხელმისაწვდომობა.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*სპორტი* *სამომავლოდ სასურველი იქნებოდა, რომ თითოეული კლასის კურიკულუმში, შეტანილი იყოს თემები თეორიული მიმართულებითაც.*

ინდიკატორი N 2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა კლასში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.*
ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *სასურველია, შეფასების რუბრიკებში უფრო მეტი სიზუსტით იყოს გაწერილი შესაფასებელი აქტივობა სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან მიმართებით.*
ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***სახელმწიფო ენა*** *სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას.*
ინდიკატორი N 2.2.1.4	*სკოლაში ფუნქციონირების შეფასებ სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი*	*მიზანშეწონილია, სამომავლოდ, სკოლამ განახორციელოს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტის მიხედვით გაწერილი აქტივობები.*
ინდიკატორი N 2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	***ესთეტიკური აღზრდა*** • *საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია სკოლაში მრავალფეროვანი რესურსების სისტემური შემოტანა.* • *სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებაზე* • *სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე.* • *რეკომენდებულია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა.* • *სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი*

		პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები. • *მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის.* • *მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.*
ინდიკატორი N 2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	***ესთეტიკური აღზრდა*** • *სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებაზე* • *სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე.* • *რეკომენდებულია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა.* • *სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები.* • *მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში — ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის.* • *მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.*
ინდიკატორი N2.4.1.1	*იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი*	• *სასურველია, ანალიზი მოიცავდეს არა მხოლოდ მონაცემებს მოსწავლეთა მიღწევების შესახებ, არამედ მასწავლებელთა გამოწვევებსა და ინოვაციების დანერგვის პერსპექტივებსაც. ეს უზრუნველყოფს კურიკულუმის მუდმივ გაუმჯობესებასა და რეაგირებას რეალურ საჭიროებებზე.*

		• *ასევე, სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტისთვის, სასურველია, შემუშავდეს კონკრეტული სტრატეგიები და ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც პრობლემების იდენტიფიცირებას, ისე მათ გადაჭრაზე ორიენტირებული წინადადებების ფორმულირებას. ეს შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:* • *უკუკავშირის რეგულარული ფორმების შექმნა: მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეებისგან უკუკავშირის შეგროვების სისტემატურ პროცესი.* • *მონაცემთა ბაზის შექმნა: შეგროვებული მონაცემების ორგანიზებული შენახვა და ხელმისაწვდომობა.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*სპორტი* *სამომავლოდ სასურველი იქნებოდა, რომ თითოეული კლასის კურიკულუმში, შეტანილი იყოს თემები თეორიული მიმართულებითაც.*
ინდიკატორი N 2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	*საზოგადოებრივი მეცნიერებები* *ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა კლასში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.*
ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები* *სასურველია, შეფასების რუბრიკებში უფრო მეტი სიზუსტით იყოს გაწერილი შესაფასებელი აქტივობა სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან მიმართებით.*

ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***სახელმწიფო ენა*** *სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას.*
ინდიკატორი N 2.2.1.4	*სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი*	*მიზანშეწონილია, სამომავლოდ, სკოლამ განახორციელოს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტის მიხედვით გაწერილი აქტივობები.*
ინდიკატორი N 2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	***ესთეტიკური აღზრდა*** • *საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია სკოლაში მრავალფეროვანი რესურსების სისტემური შემოტანა.* • *სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებაზე* • *სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე.* • *რეკომენდებულია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა.* • *სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები.* • *მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის.* • *მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.*

ინდიკატორი N 2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	***ესთეტიკური აღზრდა*** • *სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებაზე* • *სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე.* • *რეკომენდებულია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა.* • *სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები.* • *მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში — ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის.* • *მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.*
ინდიკატორი N2.4.1.1	*იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი*	• *სასურველია, ანალიზი მოიცავდეს არა მხოლოდ მონაცემებს მოსწავლეთა მიღწევების შესახებ, არამედ მასწავლებელთა გამოწვევებსა და ინოვაციების დანერგვის პერსპექტივებსაც. ეს უზრუნველყოფს კურიკულუმის მუდმივ გაუმჯობესებასა და რეაგირებას რეალურ საჭიროებებზე.* • *ასევე, სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტისთვის, სასურველია, შემუშავდეს კონკრეტული სტრატეგიები და ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც პრობლემების იდენტიფიცირებას, ისე მათ გადაჭრაზე ორიენტირებული წინადადებების ფორმულირებას. ეს შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:*

		• *უკუკავშირის რეგულარული ფორმების შექმნა: მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეებისგან უკუკავშირის შეგროვების სისტემატური პროცესი.* • *მონაცემთა ბაზის შექმნა: შეგროვებული მონაცემების ორგანიზებული შენახვა და ხელმისაწვდომობა.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ:

- N3.5.1.1 ინდიკატორი, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, უკვე შესრულებული იყო და ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი".

- N1.2.2.2, N3.1.2.3, N3.4.1.1, N3.5.1.3 და N2.2.2.3 ინდიკატორები, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი", ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის ფილოსოფია - მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც წარმოდგენილია სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმით და სასკოლო სასწავლო გეგმით, შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიად განსაზღვრულია ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში ხარისხიანი განათლებითა და საზოგადოებრივი მეცნიერებების გაძლიერებული სწავლების მხარდაჭერით, კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი მოქალაქეების აღზრდა. ხოლო ხედვის შესაბამისად, სსიპ ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით, რაც მიიღწევა ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდებით, სტრატეგიებითა და მიდგომებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 01 სექტემბრის N341 ბრძანების საფუძველზე, სკოლაში შეიქმნა სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშვებისთვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის სკოლის დირექციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მშობელი და მოსწავლე. სკოლამ წარმოადგინა ჯგუფის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია, კითხვარის ნიმუში, რომლითაც მოხდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და საჭირო ინფორმაციის მოძიება. სკოლის ფილოსფია, როგორც სკოლის სტატეგიული გეგმის შემადგენელი ნაწილი, განხილულ იქნა მშობელთა კრებეზე, 2023 წლის 22 სექტემბერს განიხილა პედაგოგიურმა საბჭომ, ხოლო 2023 წლის 25 სექტემბრის სხდომაზე - სამეურვეო საბჭომ.

აღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სტრატეგიული გეგმის პროექტი, რომლითაც წარმოდგენილია სკოლის ფილოსოფია, განხილულ იქნა მშობელთა კრებეზე, 2023 წლის 22 სექტემბერს განიხილა განიხილა პედაგოგიურმა საბჭომ, ხოლო 2023 წლის 25 სექტემბრის სხდომაზე - სამეურვეო საბჭომ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის ფილოსოფია - მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის შენობაში, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ ადგილზე. განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის დირექტორის N341 ბრძანება*
- *სამუშო ჯგუფის სხდომის ოქმები*
- *კითხვარის ნიმუში*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

დირქტორის 2023 წლის 01 სექტემბრის N340 ბრძანებით, სკოლაში დამტკიცებულია მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი იწყება ინფორმაციის შეგროვებით, ინფორმაციის მიღება ხდება საზოგადოების წევრებისგან. სკოლა სტატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს SWOT ანალიზს. აღნიშნულის საფუძველზე იკვეთება, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 წლებზე გათვლილი სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი საქმედო გეგმა, რომელიც შვიდი სტრატეგიული მიზნის შესაბამისად არის შემუშვებული. წარმოდგენილია 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები, რომელიც განიხილა სამეურვეო საბჭომ, შედეგად გაიცა რეკომენდაცია, რომ მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულ იქნას ის აქტივობები, რომლის განხორციელებაც ვერ მოხერხდა და რომელიც კვლავ აქტუალურია .

სამუშაო ჯგუფმა, აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, შეიმუშავა და განხივლის მიზნით, სკოლის დირექტორს წარუდგინა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც განიხილა და დაამტკიცა სამეურვეო საბჭომ 2025 წლის 12 სექმტებრის სხდომაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია*
- *სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა*
- *2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 ოქტომბრის N333 ბრძანება*

- *სამუშაო ჯგუფის ოქმი*
- *სამეურვეოს საბჭოს სხდომის ოქმი*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორიელების შუაში და ბოლოს. ხოლო, სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას სკოლა ახორციელებს წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია 2023 წლის ოქტომბერში. მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადები ჯერ არ არის დამდგარი. **მეთოდოლოგიის თანახმად, სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას სკოლა ახორციელებს წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება განხორციელებულია წლის განავლობაში ერთხელ, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, მეთოდოლოგიის შესაბამისად, უზრუნველყოფს სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას.

შესრულების ვადა - 03.2027

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშის საჯაროობა - ანგარიში განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები, რომელიც განიხილა სამეურვეო საბჭომ. შედეგად გაიცა რეკომენდაცია, რომ მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულ იქნას ის აქტივობები, რომლის განხორციელებაც ვერ მოხერხდა და რომელიც კვლავ აქტუალურია. აღნიშნული რეკომენდაციები გათვალისწინებულია მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში.

სამუშაო ჯგუფმა, აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით შეიმუშავა და განხილვის მიზნით სკოლის დირექტორს წარუდგინა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც განიხილა და დაამტკიცა სამეურვეო საბჭომ 2025 წლის 12 სექტემბრის სხდომაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია*
- *სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

დირექტორის 2023 წლის 15 ოქტომბრის N335 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის სტრუქტურა ორგანოგრამის სახით. ამავე დოკუმენტით მკაფიოდ არის განსაზღრული სტრუქტურული ერთეულების და საშტატო განრიგით განსაზღვრული პირების ფუნქციები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

დირექტორის 2023 წლის 15 ოქტომბრის N335 ბრძანებით, დამტკიცებულია სკოლის სტრუქტურა ორგანოგრამის სახით. ამავე დოკუმენტით არის განსაზღრული სტრუქტურული ერთეულების და საშტატო განრიგით გათვალისწინებული პირების ფუნქციები. დასაქმებულ პირთა ფუნქციები ასევე განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დირექტორის 2023 წლის 15 ოქტომბრის N335 ბრძანება*
- *საშტატო განრიგი*
- *შრომითი ხელშეკრულებები*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

2025 წლის 8 დეკემბრის N354 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის თანახმად, პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით; ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას. პოლიტიკის ამოცანებია:

დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა; დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება; დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღრულია დასაქმებულთა პასუხისმგებლობა, სამუშაო საათები. შვებულებით სარგებლობის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, სკოლა უფლებამოსილია, გამოაცხადოს კონკურსი იმ პოზიციაზე, რომელიც კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს დადასტურებული საფუძველი, რომ აღნიშნული პოზიცია კონკურსის დასრულებამდე გახდება ვაკანტური. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კონკრეტული მასწავლებლის არ ყოფნის შემთხვევაში, სკოლა ეფექტურად ახდენს მასწავლებლის ჩანაცვლებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მოზიდვას და შერჩევას. დაწესებულება ვაკანტური პოზიციის განაცხადს ქმნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

სკოლაში დასაქმებულ პირთა პირადი საქმეების შესწავლით გამოიკვეთა, რომ პირად საქმეებში, სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ზოგადი განათლების შესახებ კანონია და მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისი ცნობები. (უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, სავალდებულოა, მხოლოდ 2020 წლის შემდეგ დასაქმებულ პირთათვის).

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს სკოლაში დასაქმებულ პირთა პირად საქმეებში ზოგადი განათლების შესახებ კანონისა და მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისი ცნობების სრულყოფილად წარმოდგენას.

შესრულების ვადა - 03.2027

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

დირექტორის 2025 წლის 7 დეკემბრის N348 ბრძანებით დამტკიცებულია დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება. სკოლაში დასაქმებულ პირთა პირადი საქმეების ანალიზით დასტურდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ სკოლაში გადაწყვეტილებები მიიღება სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების და კურიკულემების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. სკოლაში ფუნქციურია სტრუქტურული ერთეულები - სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, რომელთა მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

საგნობრივი კათედრის ფუნქციაა კოორდინირება გაუწიოს გამოცდილების გაზიარებას, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრას და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *სკოლის სტრუქტურა*
- *სსიპ ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის თანახმად დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. ამავე დოკუმენტით არის განსაზღვრული შეფასების მეთოდები და შეფასების ეტაპები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 08 დეკემბრის N357 ბრძანებით, დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. დებულების თანახმად, აღნიშნული ჯგუფი ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებასა და შეფასებას; მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე.

სკოლის მიერ წარმოდენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა გაკვეთილზე ურთიერთდასწრება და შედეგეგად რჩევების გაცემა პროფესიული განვითარების მიმართულებით. საჭიროების იდენტიფიცირება ხდება ზეპირსიტყვიერადაც, პერსონალის მხრიდან.

სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან და პედაგოგებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პერსონალის განვითარების მიმართულებით აქტივობები იგეგმება გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად. ერთ-ერთ კლასში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, დამრიგებელი დაესწრო ტრენინგს თემებზე - „სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარება“ და „კლასის მართვა“. ასევე პედაგოგი, საჭიროების შესაბამისად, გაიარა ტრენინგი დამრიგებლის პორტფოლიოს წარმოების თაობაზე.

პედაგოგებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

პერსონალის მართვის პოლიტიკის თანახმად, კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას, სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით.

2025-2026 სასწავლო სამოქმედო გეგმაში ასახულია აქტივობები ადამიანური რესურსის განვითარების მიმართულებით, რაც ითვალისწინებს წარმატებული პრაქტიკის/ცოდნის და სიახლეების გაზიარების მიზნით, შიდა სასკოლო ტრენინგების/ შეხვედრების ჩატარებას, თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების მოძიებას და მათთვის ინფორმაციის მიწოდებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღრულია სკოლაში ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის მექანიზმები. იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მათ გაეცნოს დამკვიდრებულ წესებსა და

ტრადიციებს. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლა ახორციელებს შემდეგ პროცედურებს - ინტეგრაციაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შენობა-ნაგებობის დათვალიერება, ინტეგრაციაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად, სკოლის შიდა რეგულაციების ამსახველი ძირითადი დოკუმენტაციის განხილვა, ინტეგრაციაზე პასუსხისმგებელი პირის მიერ სკოლის თანამშორმლებისთვის ახალი თანამშრომლის გაცნობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. უზრუნველყოფილია მონაწილეობა პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *კათედრის სხდომის ოქმი*
- *გაკვეთილზე დაკმვირვებლის შფასების ფორმა*
- *„კრიტიკული მეგობრის“ ურთიერთშეფასება*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის დირქტორის 2025 წლის 07 დეკემბრის N350 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სკოლაში ხორციელდება პროცესებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება სკოლის მიერ, რომელიც გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება ქვეპროცესებისაგან - სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება, პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა, შემოწმების განხორციელება, დასკვნის შედგენა და უკუკავშირი, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

სკოლის მმართველობითი პროცესებია - სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა.

სკოლის ძირითადი პროცესებია - კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა.

სკოლის დამხმარე პროცესებია - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება.

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია შესაბამისი პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის შინაგანაწესის 21-ე მუხლით, განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. დირექტორის 2025 წლის 07 დეკემბრის N345 ბრძანებით, დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურის ინტრუქცია. დირექტორის 2025 წლის 09 დეკემბრის N359 ბრძანებით, ასევე დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ბორჯომის №1 საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის, სკოლის პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. კლასის დამრიგებელი ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 5 დღისა. დირექტორის 2025 წლის 09 დეკემბრის N359 სსიპ ბრძანებით, ასევე დამტკიცებულია ქალაქ ბორჯომის №1 საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა უფლებების დაცვის მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი*
- *შინაგანაწესი*
- *სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურის ინტრუქცია*
- *მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას აქვს ვებ გვერდი და გვერდი სოციალურ ქსელში. ინფორმაციულად დატვირთულია სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook). გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია განხორციელებული და დაგეგმილი სასკოლო აქტივობების, სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა, სასკოლო კლუბების წარმატებისა და მიღწევების თაობაზე.

შინაგანაწესის თანახმად, კლასის დამრიგებლებს აქვთ ვალდებულება, შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 5 დღისა; სკოლის ყველა მასწავლებელი, მიუხედავად მათი დატვირთვისა, ვალდებულია სკოლაში იყოს ყოველ პარასკევს 15:00 საათიდან 16:00 საათამდე და მიაწოდოს ინფორმაცია სკოლაში მოსულ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მათი შვილების აკადემიური მოსწრების შესახებ.

რეგულარულად ტარდება პედაგოგური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს სხდომები, რაც უზურნველყოფს მიმდინარე საკითხების განხილვისა და უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 05 მარტის N54 ბრძანებით, განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობასა და კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს სამურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, რომლებიც შედგება თანაბარი რაოდენობის მშობლებისა და პედაგოგებისგან, მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც სხვა წევრებთან ერთად წარმოდგენილია მოსწავლე.

სკოლის დირექტორის 2024 წლის 12 თებერვლის N43 ბრძანებით, დამტკიცებულია კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგნელობაში შედის სკოლის ექიმი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, იკვეთება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში*
- *სკოლის ვებგვერდი*
- დირექტორის ბრძნება საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების

მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

სკოლაში დასაქმებულია მანდატურები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას. სკოლის შენობა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით, თუმცა **პირველი სართულის დერეფნის ვიდეომონიტორინგი სრულყოფილად არ ხორციელდება.**

სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან, 2026 წლის 23 თებერვლის N620849 წერილით შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და უკუკავშირი შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე რეკომენდაციების სახით. რიგ შემთხვევებში, აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების ვადა ამოწურულია, თუმცა მიმდინარე ეტაპისთვის, სკოლას რეაგირება არ ჰქონია.

სკოლამ ვერ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

სკოლის ეზოს არ აქვს ღობე. სკოლას ერთი მხრიდან ესაზღვრება ქალაქის სკვერი, მეორე მხრიდან სპორტული მოედანი და სავარჯიშო მოედანი; ორი მხრიდან კი სამანქანო გზა. მართალია, სკოლის შენობაში შესვლისა და გასვლის პროცესი კონტროლდება დარაჯის მიერ, მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია ეზოს შემოღობვა.

რჩევა:

- *მიზანშეწონილია, სკოლამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ რეკომენდაციების შესრულება დადგენილ ვადაში;*
- *მიზანშეწონილია, სკოლაში, კანონმდებლობის შესაბამისად, დასაქმდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;*
- **მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია ეზოს შემოღობვა.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს:

- *უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენას;*
- *პირველი სართულის დერეფნის ვიდეომონიტორინგის სრულყოფილად განხორციელებას.*

შესრულების ვადა - 03.2027

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც სრულად აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სკოლაში დასაქმებულია ექიმი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ მანდატურები. შემუშავებულია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. დარაჯი უზრუნველყოფს სკოლის შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის მონიტორინგს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში განსაზღვრულია ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის გადამისამართება მოხდება მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში. წახალისებულია მოსწავლეთა და დასაქმებულ პირთა ინიციატივები, რაც ხელს უწყობს სასკოლო გარემოში ემოციურ და ფსიქოლოგიურ თვითდამკვიდრებას. სკოლასთან თანამშრომლობს სოციალური მუშაკი, რომელიც რეაგირებს წარმოქმნილ პრობლემურ გარემოებებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში დასაქმებულია 3 დამლაგებელი, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სკოლაში სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. შრომითი ხელშეკრულების თანახმად, სკოლის ექიმი ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N269 ბრძამებით, დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია მონაცემთა დამუშვების მიზნები, მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, მონაცემთა სუბიექტი, მონაცემთა კატეგორია.

სკოლაში, ქალაქ ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2025 წლის N25 ბრძანებით, განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების შესაბამისობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით.

სკოლა იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. აკრძალულია მომხმარებლის სახლისა და პაროლის ვინმესთვის გამჟღავნება/სარგებლობაში გადაცემა. სკოლის თანამშრომლები გაფრთხილებული არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იმუშავებს რეკომენდაციებს, გეგმავს პრევენციულ ღონისძიებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მრჩეველთა საბჭოს ოქმები*
- *საშტატო განრიგი*
- *ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება*
- *პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი*
- *სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა №937.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, სკოლის დაზუსტებული ფართობია 3656 კვ.მ, ხოლო შენობის ფართი - 2125 კვ.მ. სკოლის ინფრასტრუქტურა, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, მოწესრიგებულია, თუმცა საჭიროებს რეაბილიტაციას. სკოლა უზრუნველყოფილია საფეხურების შესაბამისი ახალი მერხებით, დაფებითა და სხვა საჭირო ინვენტარით. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლა აღჭურვილია ციფრული ტექნიკით (პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორები). ფუნქციონირებს, თუმცა რეაბილიტაციას საჭიროებს, სკოლის სპორტული დარბაზი.

სპორტული დარბაზთან არსებული ორი გასახდელიდან ერთს, რომელიც სკოლის დირექტორის განცხადებით, ბიჭებისთვის არის განკუთვნილი და მდებარეობს გოგონების გასახდელის გვერდით, არ აქვს კარი.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება, (სკოლის დირექტორსა და ი.მ ლევან ლაზარაშვილს შორის 2026 წლის 24 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება N06, რომლის თანახმადაც განხორციელდა კარის მონტაჟი)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის N236 ბრძანებით, დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის. აღნიშნული წესით, ასევე მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლოს საზოგადოების წევრთათვის სკოლის ინფრასტრუქტურაზე, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეებსა და მატერიალური მატერიალურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის N235 ბრძანებით, დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება). აღნიშნული დოკუმენტი პასუხობს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელიც უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის გამართულად მუშაობას. დებულებით გაწერილია ბიბლიოთეკით მოსარგებლე პირების, საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის, მისი დაცულობის, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები. უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადეობისთვის. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია, როგორც გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული ლიტერატურა.

ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი წიგნადი ფონდი არ არის დამუშვებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს ბიბლიოთეკაში წარმოდგნილი წიგნადი ფონდის დამუშვებას საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

შესრულების ვადა - 03.2027

ინდიკატორი დაკმაყოფილია მეტწილად

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შენობა ადაპტირებული არ არის, შენობაში არ არის ადაპტირებული სველი წერტილი, არ არის პანდუსი, არ არის უზრუნველყოფილი სართულებზე გადაადგილება შშმ პირთათვის.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად უზრუნველყოფს სკოლის შენობის ადაპტირებას 2027 წლის 19 დეკემბრამდე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლაში ფუნქციონირებს ინოვაციური ტექნოლოგიების კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით. სკოლის დირექტორის განცხადებით კაბინეტი ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. ინტერვიუს პროცესში, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნული სივრცე ხელმისაწვდომია როგორც სოციალური ინტერაქციისთვის ასევე მიზნობირვი აქტივობების განხორციელების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ინვენტარიზაციის ამსახველი დოკუმენტაცია*
- *ბიბლიოთეკის დებულება*
- *სკოლის ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერება*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების სამუშაო სივრცე უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით - პრინტერ-სკანერის აპარატით, პრინტერით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ხელმისაწვდომია 22 პერსონალური კომპიუტერი და 12 ლეპტოპი; სასკოლო სივრცე მთლიანად დაფარულია WI-FI -ს ქსელით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში დამტკიცებულია კომპიუტერული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერულ ტენოლოგიებზე წვდომას მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის. სასკოლო სივრცე მთლიანად დაფარულია WI-FI -ს ქსელით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ინვენტარიზაციის ამსახველი დოკუმენტაცია*

- *მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის N234 ბრძანებით, დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow) საშუალებით და მას ახორციელებს საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულ მუშაობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სარგებლობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით - „eflow"; აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა - borjomi1@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - Eschool; სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს საკუთარი პროფილი eschool.emis.ge-ზე. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ასახულია ინფორმაცია არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის საქმისწარმოების წესი*
- *Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ გვერდი და გვერდი სოციალურ ქსელში. ინფორმაციულად დატვირთულია სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook) - გამოქვეყნებულია ინფორმაცია განხორციელებული და დაგეგმილი სასკოლო აქტივობების, სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა, სასკოლო კლუბების წარმატებისა და მიღწევების თაობაზე. სკოლის დირექტორის 2026 წლის 05 მარტის N54 ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლაში შემუშვებული და დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი, რომლის თანახმად, სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია აწარმოოს კომუნიკაცია სკოლის შიგნით და და ასევე იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე და გონივრულობა. სკოლა მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ანხორციელებს სოციალური ქსელითა და ვებ გვერდით. ვიზუალური დათვალიერებით, ჩანს, რომ ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ და საკონტაქტო ინფორმაცია, არის სანდო და უტყუარი.

დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N93 ბრძანებით განსაზღვრულია ოფიციალურ ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლაში შემუშვებული და დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომლის თანახმად, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება პრიორიტეტულია მისი მოლოდინების ეფექტური დაკმაყოფილებისთვის. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებული უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა ელექტრონული კითხვრების საშუალებით სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და მიღებული შედეგების გათვალისწინება კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მაგალითად, გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით მოხდა მოსწავლეთათის არჩევითი საგნის შეთავაზება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ გვერდი - https://shorturl.at/LjUEz, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდი (https://shorturl.at/LjUEz) შეიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ვებ გვერდი*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook)*
- *საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი*
- დირექტორის ბრძანება საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

- *დირექტორის ბრძანება ოფიციალურ ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის თაობაზე*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსებით. თუმცა, აქვს დამატებითი შემოსავალი იჯარის საფუძველზე. ძირითადი ფინანსური რესურსი იხარჯება დასაქმებულთა შრომით ანაზღაურებაზე, ასევე მატერიალური რესურსების შესყიდვაზე, სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების უზრუნველყოფა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. დამტკიცებულია შესყიდვების წესი. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესყიდვების გეგმა. შესყიდვის განხორციელების წინ ხდება ბაზარზე არსებული ფასების კვლევა. სკოლის დირექტორი დეკემბერში ანგარიშით წარდგება სამეურვეო საბჭოს წინაშე. კალენდარული წლის ბოლოს შედგენილია ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სამეურვეო საბჭოს ოქმი*
- *სკოლის დირექტორის ანგარიში*
- *შესყიდვების წესი*
- *შესყიდვების გეგმა*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. კლასის დამრიგებელი ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 5 დღისა. დირექტორის 2025 წლის 09 დეკემბრის N359 ბრძანებით, ასევე დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ბორჯომის №1 საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა უფლებების დაცვის მექანიზმებს.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის ფუნქციაა დაიცვას მოსწავლეთა ინტერესები და მათი უფლებები, საჭიროების შემთხვევაში უშუამდგომლოს მოსწავლეებს სკოლის დირექციასთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის შენობაში, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე. კლასის დამრიგებელი ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 5 დღისა. დირექტორის 2025 წლის 09 დეკემბრის N359 ბრძანებით, დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ბორჯომის №1 საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა უფლებების დაცვის მექანიზმებს. სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია შინაგანაწესი და

დირექტორის 2025 წლის 07 დეკემბრის N345 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურის ინტრუქცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულება ძალაშია მოსწავლის სწავლის დასასრულამდე და მასში გაწერილია როგორც მოსწავლის, ისე მშობლის და სკოლის უფლებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი*
- *სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი*
- *განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა*
- *სკოლის ვებ გვერდი*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 07 დეკემბრის N353 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ბორჯომის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომლითაც განსაზღრულია აღნიშნული პროცესების განხორციელების კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის დოკუმენტაციის და eschool - ის ბაზის დათვალიერებით დადასტურდა, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურების თაობაზე. უზრუნველყოფილია შინაგანაწესის საჯაროობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ვებ გვერდისა და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N93 ბრძანებით განსაზღვრულია ოფიციალურ ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი*
- *Eschool ში სკოლის პროფილის დათვალიერება*
- *სკოლის ვებ გვერდი*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook)*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

დირექტორის 2023 წლის 19 ოქტომბრის N339 ბრძანებით, დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. გათვალისწინებულია პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში შემუშვებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესის თანახმად, სკოლას აქვს მზაობა და შესაძლებლობა, სწავლის დაწყების მომენტიდან ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან, ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის ანალიზით იკვეთება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით დადგენილი და რეგულირებულია სემესტრული ქულის ამაღლების მექანიზმი. საშემოდგომო გამოცდის შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს რემედიაციის პროგრამის შემუშვებას მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზით იკვეთება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით დარეგულირებულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადების, სემესტრული გამოცდის საკითხი. მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ მასწავლებლებისგან მიღებული აქვთ ინფორმაცია აღნიშნული საკითხის თაობაზე.

მოსწავლის მობილობის შემთხვევაში, სკოლა ღებულობს ზომებს მოსწავლისათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა წახალისების ფორმები. სკოლის მიერ დაგეგმილი საკლუბო და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში (facebook) გვერდზე. სკოლაში დასაქმებულია სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელთა ჩართულობითაც უზრუნველყოფილია მოსწავლეების დახმარება არაფორმალური აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელების მიმართულებით. წახალისებულია მათი ინიციატივა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა ელექტრონული კითხვრების საშუალებით სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და მიღებული შედეგების გათვალისწინება კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მაგალითად, გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, მოხდა მოსწავლეთათვის არჩევითი საგნის შეთავაზება. მშობელთა კრების წარმოდგენილი ოქმებით დასტურდება, რომ მეორე უცხო ენის არჩევა ხდება მშობლების სურვილის გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დამრიგებლო დებულება*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;*
- *ტრანზიციის დებულება;*
- *არაფორმალური აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია;*
- *განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები სოციალურ ქსელში.*
- *მშობელთა კრების ოქმი*
- *მოსწავლეთა გამოკითხვის დამადასტურებელი მასალა*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. აღნიშნული მემორანდუმის თანახმად, უნივერსიტეტს აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს შესაბამისი აკადემიური პერსონალის მიერ სკოლის მოსწავლეებისთვის ლექციების ჩატარება სახვადასხვა დარგობრივი დისციპლინების მიხედვით.

სკოლის მეორე და მესამე საფეხურის მოსწავლეებს შეხვდა პროკურატურასა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები. სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, დადასტურდა, რომ იგეგმება და ხორციელდება ექსკურსიები ბორჯომის ქარხანაში, აბასთუმნის ოსბერვატორიაში, ჩითახევჰესში; შეხვედრების სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, დადასტურდა, რომ იგეგმება და ხორციელდება ექსკურსიები ბორჯომის ქარხანაში, აბასთუმნის ოსბერვატორიაში, ჩითახევჰესში; შეხვედრების სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

მიმდინარე ეტაპზე, მომსახურების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი სკოლაში შემუშავებული არ არის. სკოლის პირველადი ავტორიზაციაა, რის გამოც მოცემული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მემორანდუმი*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში შემუშვებული და დირექტორის 2025 წლის 7 დეკემბრის N347 ბრძანებით, დამტკიცებულია სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღრულია სპეციალური საჭიროების იდენტიფიცირების, ისგ ჯგუფის შექმნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების და განხორციელების მონიტორინგის მექანიზმები. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების მიზნით, დირექტორის ბრძანებით, სკოლაში იქმნება ისგ ჯგუფი, რომლის წევრები არიან კლასის დამრიგებელი, საგნების მასწავლებლები, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები, მშობელი. სკოლაში იქმნება ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორცილების მონიტორინგის მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სკოლაში არის რესურსოთახი რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და სასწავლო რესურსებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლეთა განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები. სკოლის დირექტორის ბრძანებით, შემქნილია ისგ ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი, სპეციალური მასწავლებელი. ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საჭიროება და შესაძლებლობები. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახდენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა*
- *შიდა მონიტორინგის წესი*
- *სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და წესი*
- *მონიტორინგის წესი*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით, მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე, სკოლას იჯარის ფორმით გაცემული აქვს ფართი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები - ეკოკლუბი (ბუნების ქომაგი), მკითხველთა კლუბი (კარცერლუქსი), სტემ - კლუბი, ქიმიის წრე, მათემატიკის წრე. კლუბების დებულებით და მოსწავლეებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით.

კლუბების ფუნქციონირებს თობაზე, გადაწყვეტილება მიღებულია საგნობრივი კათედრების მიერ.

ზოგადი განათლების შესახებ კანონისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების თანახმად, მოსწავლეთა თვითმმართველობა წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს.

რჩევა - მიზანშეწონილია, სასკოლო კლუბების შექმნის პროცესში გაიზარდოს მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური მონაწილეობა და ინიციატივა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარე ვალდებულია მოუაროს საიჯარო ქონებას, მკაცრად დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა ტექნიკური უსაფრთხოების წესები, სანიტარული მოთხოვნები, შენობაში არსებული მოწყობილობების და ინვენტარის, აგრეთვე არსებული საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლუატაციის წესები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *იჯარის ხელშკრულება*
- *სამინისტროს წერილი იჯარით ფართის გაცემის თაობაზე თანხმობის შესახებ*
- *კლუბების დებულება*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი	☐ **შეესაბამება**

(საბაზო საფეხურის ზოგადასაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადასაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. მასში გათვალისწინებულია პროცესის ციკლურობა, რაც გულისხმობს კურიკულუმის დანერგვას/რეალიზებას, მონიტორინგსა და შეფასებას. ასევე, მის გადასინჯვასა და რევიზიას. კურიკულუმით განსაზღვრულია სწავლა-სწავლების პროცესის საკვანძო ორიენტირები, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობით ხდება. კურიკულუმის განვითარების პროცესში პასუხისმგებლობა ეკისრებათ კათედრის თავმჯდომარეებსა და დირექტორის მოადგილეებს. კათედრის თავმჯდომარეები უზრუნველყოფენ მასწავლებლების ინფორმირებას და მონაცემების შეგროვებას, აგრეთვე, კათედრის სხდომების ფასილიტირებას პრობლემური საკითხების განსახილველად. ისინი, ასევე, არიან დამაკავშირებელი რგოლები დირექციასა და პედაგოგებს შორის. დირექტორის მოადგილეები აწყობენ სამუშაო შეხვედრებს, რომლებზეც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი, და მუშავდება რეკომენდაციები პრობლემების გადასაჭრელად. ისინი, ასევე, უზრუნველყოფენ სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლებასა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას კურიკულუმის განვითარების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში რამდენიმე ასპექტი მიუთითებს იმაზე, რომ გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ, კურიკულუმი აღწერილია, როგორც დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს გზას, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს პიროვნული დოკუმენტი ხაზს უსვამს იმასაც, რომ კურიკულუმი წარმატებით ინერგება მაშინ, როცა მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები, დირექცია და მშობლები. მშობლებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას, მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. ინტერვიუს ესწრებოდნენ ასევე სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლებიც, რომლებმაც დაადასტურეს მასწავლებლებისა და დირექციის მიერ ორგანიზებული შეხვედრები, რომელთა მიზანიც იყო სასკოლო საზოგადოების ინტერესების გამოვლენა და შემდგომში მათი ასახვა სასკოლო სასწავლო გეგმაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება ხორციელდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობით. დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ წარმატებული დანერგვისთვის კურიკულუმის შინაარსს უნდა იზიარებდნენ და მის განვითარებაში მონაწილეობდნენ მასწავლებლები, დირექცია და მშობლები. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული მხარეებს ეკისრებათ სხვადასხვა ვალდებულება. მასწავლებელი ვალდებულია აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. ამით ის უზრუნველყოფს მონაცემების ბაზის განახლებას, რაც დანერგვის პროცესის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. მონაწილეობა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და მუშაობის პროცესში გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებსაც კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია შეიმუშავებს. კათედრის თავმჯდომარე ვალდებული არის უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად. მონაწილეობა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში; იყოს შუამავალი რგოლი სკოლის დირექციასა და პედაგოგებს შორის. რაც შეეხება დირექტორის მოადგილეს, სასკოლო კურიკულუმის დანერვის პროცესში, მისი ფუნქციაა ფასილიტაცია გაუწიოს სასწავლო

პროცესს, ასევე ორიენტირდება ხარისხის მართვაზე. უზრუნველყოს სამუშაო შეხვედრების გამართვა კათედრის ხელმძღვანელების მონაწილეობით (შესაძლოა სხვა მასწავლებლების ჩართულობითაც), სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები; შემუშავდება რეკომენდაციები სასწავლო პროცესში პრობლემების გადასაჭრელად; ინოვაციების დასანერგად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ, რაც თავის მხრივ ადასტურებს იმას რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე, სკოლამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების კითხვარი, რომლის შედეგებიც აისახა სკოლის მისია ხედვასა და მიზნებში, რომელზე დაყრდნობითაც შეიქმნა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლის მისია. ხედვა და ღირებულებების დოკუმენტზე დაყრდნობით კი შეიქმნა სასკოლო სასწავლო გეგმა, რაც თავის მხრივ ადასტურებს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების თითქმის ყველა რგოლის ჩართულობით. სასწავლო წლის დასაწყისში გაფორმებული კათედრის ოქმები, თავის მხრივ ადასტურებს მასწავლებელთა, როგორც სასკოლო საზოგადოების ნაწილის, ჩართულობას კურიკულუმის გაზიარების ეტაპზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დანართი N1 - სკოლის კითხვარი;*
- *დანართი N18 - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *დანართი N66 - კათედრის ოქმი.*

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების განხორციელებისას მასწავლებლებს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქვთ კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრა სხვადასხვა ტიპის დავალებების შექმნისას ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესის და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი და სასკოლო პროექტები ნათლად ადასტურებს ორიენტირებას მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე. კურიკულუმი არ არის მხოლოდ აკადემიური შინაარსის ჩამონათვალი, არამედ წარმოადგენს ცოცხალ პროცესს, რაც დასტურდება შემდეგი კომპონენტებით-შემოქმედებითი ტიპის დავალება რეპორტაჟის მომზადება სასკოლო პრობლემებზე აჩვენებს, რომ სწავლების პროცესი დაფუძნებულია მოსწავლისთვის ნაცნობ და აქტუალურ გარემოზე, რაც ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხო ენის კათედრამ წარმოადგინა სამივე საფეხურის როგორც პირველი ისე მეორე უცხო ენის კურიკულუმი, სადაც მოცემულია მრავალი შემოქმედებითი დავალება ის სრულიად მორგებულია მოსწავლეთა ასაკსა და მათ ინტერესებზე. კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ინტერესითა და ხალისით მუშაობენ მასწავლებლის

	მიერ დაგეგმილ დავალებებზე. ამას ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ნამუშევრები. პედაგოგები საუბრობენ თუ როგორ წარადგენენ დავალებას მოსწავლეების წინაშე და რა ეტაპებს გადიან დავალების განხორციელებისა და წარდგინებისთვის ,რაც აშკარად ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული პრინციპების შესაბამისად. სასწავლო თემები და საკითხები შერჩეულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული კონტექსტის გათვალისწინებით. თითოეული თემის მიზნები მჭიდრო კავშირშია შემოქმედებით დავალებებთან; კონტექსტ-მაგალითები გაწვდილია როგორც სასწავლო მიზნებთან, ასევე დავალებებთან მიზეზშედეგობრივი კავშირით. კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს — სამიზნე ცნებები ლოგიკურადაა გადანაწილებული თემების მიხედვით და ფარავს სასწავლო წლისა და საფეხურის სრულ მოცულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტ მაგალითები და მრავალფეროვანი რესურსები, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა მოდალობის მქონე მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყველა მეთოდი, აქტივობა თუ რესურსი მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე, შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებზე და დანერგვის მექანიზმებზე. სამივე საფეხურზე, ყველა კალსში თემის ფარგლებში წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რაც ნათლად გვაჩვნებს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისთვის), დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მათ საჭიროებებს და მორგებულია სკოლის შესაძლებლობებზე. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და მათ გაყვანას საფეხურებრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე. ინეტრვიუს დროს პედაგოგებმა მიიღეს რჩევა, რომელსაც გაითვალისწინებენ სამომავლოდ. **რჩევა: სამომავლოდ სასურველი იქნებოდა, რომ თითოეული კლასის კურიკულუმში, შეტანილი იყოს თემები თეორიული მიმართულებითაც.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, შემუშავებული კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი წარმოდგენილი არის ყველა კლასში, საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებული არის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. დამუშავებულია სამიზნე ცნებები. კლასის საგნის კურიკულუმში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება, თუმცა პროცესი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვას: მაგ. კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი დავალებები მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული. ის, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის წარმართვის და განვითარების გზას, ასევე

	დადასტურდა მასწავლებელთან გასაუბრებისას. წარმოდგენილი კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული პედაგოგიური მიდგომების დანერგვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შემუშავებულ კურიკულუმებში გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. თუმცა, რიგ შემთხვევებში იკვეთება მცირე უზუსტობებიც. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, მასწავლებლებმა წარმოადგინეს კომპლექსური დავალების მატრიცები, სადაც გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: პრეზენტაცია, საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება, პოსტერების შექმნა, მოდელის დამზადება, ბუკლეტის შექმნა..),რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებს. **რჩევა: სასურველია, რომ პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დაიხვეწონ ბუნებისმეტყველების III, IV კლასების კურიკულუმები. კერძოდ მკაფიოდ გაწერონ თემები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.**

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კურიკულუმის ანალიზი და სასკოლო პრაქტიკა ადასტურებს შემდეგს-ორიენტირება სამიზნე ცნებებზე, ფუნქციური უნარების განვითარება კურიკულუმი უზრუნველყოფს ესგ-ით განსაზღვრული პრიორიტეტული თემების (ფინანსური წიგნიერება, ადამიანის უფლებები) ინტეგრირებას. მე-7 კლასში მათემატიკის ფარგლებში განხორციელებული ფინანსური განათლების პროექტი და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ჩართულობა ადასტურებს კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებას, რაც ესგ-ის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა. პროექტი „ნარინჯისფერი კვირეული“ ნათლად აჩვენებს კურიკულუმის მიმართებას ესგ-ის ისეთ მიზნებთან, როგორიცაა ტოლერანტობა, თანასწორობა და სოციალური პასუხისმგებლობა. მოსწავლეთა მიერ ჩატარებული კვლევა და საინფორმაციო კამპანია ადასტურებს, რომ სწავლება ორიენტირებულია ცნობიერების ამაღლებასა და ეთიკური პოზიციის ჩამოყალიბებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხო ენის სწავლება სკოლაში სრულიად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს .კურიკულუმი აგებულია სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებზე დაყრდნობით. ყველა დავალება დაფუძნებულია საგნობრივ სტანდარტით განსაზღვრული ლექსიკური და გრამატიკული მასალის ფუნქციურად გამოყენებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კონტექსტური მაგალითები და სასწავლო რესურსები შინაარსობრივად და ქრონოლოგიურად შეესაბამება მიზნებს, რაც მიანიშნებს მიზანმიმართულ დაგეგმვას და პროცესის სტრუქტურულ განხორციელებას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები, დასამუშავებელი საკითხები, კონტექსტ მაგალითები. დავალებები და აქტივობები ისეა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამოყენებაში. გასაუბრებისას ასევე გამოიკვათა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემათება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა. კომპლექსური დავალების მიმდინარეობისას იკვეთება მოსწავლეების კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია. დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ შემოქმედებითი აზროვნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შემუშავებული კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმების ანალიზისას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ

	სკოლის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგნობრივ კურიკულუმში გაწერილია ძირითადი ნაწილები. მიუხედავად იმისა რომ კლასის საგნის კურიკულუმში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება ინტერვიუს დროს მასწავლებელმა დაგვანახა მზაობა და აღნიშნულს გაითვალისწინებს. *რჩევა: მიზანშეწონილია, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ყველა კლასში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.* **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს , მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ თემებს, დაგეგმილია შუალედური მიზნები. **რჩევა: ბუნების მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმში დაზუსტდეს სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, სწავლა- სწავლების პროცესში იყენებენ ვიზუალურ, ციფრულ მასალებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო მიზნების და შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესების გათვალისწინებით, გააჩნიათ ქიმიური ცდების

	ჩასატარებელი ლაბორატორიული სინჯარები და რეაქტივები,, რესურსების გამოყენებისას მოსწავლეებს აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული ინსტრუქციები, რეკომენდაციები და უსაფრთხოების წესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე გამოყენებული რესურსები მრავალფეროვანია და პირდაპირ მიემართება სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლები, გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, აქტიურად იყენებენ დამხმარე ციფრულ და ვიზუალურ რესურსებს. მაგალითად, „ნარინჯისფერი კვირეულის“ ფარგლებში გამოყენებული იქნა სტატისტიკური მონაცემები, ვიდეო-რგოლები და თემატური პოსტერები, რამაც ხელი შეუწყო საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. პროექტში „რეპორტაჟი სკოლისთვის აქტუალურ საკითხებზე“ მოსწავლეებმა გამოიყენეს ციფრული ხელსაწყოები (ვიდეო-კამერა, სამონტაჟო პროგრამები), რაც ავითარებს მათ მედიაწიგნიერებას და ტექნოლოგიურ კომპეტენციას. ფინანსური განათლების პროექტში გამოყენებული იქნა რეალური საბანკო ამონაწერების ნიმუშები, ბიუჯეტის ცხრილები და კალკულატორები, რაც თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ უნარებთან აკავშირებს. **რჩევა: ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა კლასში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხო ენის ძირითად სასწავლო რესურს წარმოადგენს გრიფირებული სახელმძღვანელოები თუმცა ასევე უხვად იყენებენ როგორც მატერიალურ ისე ციფრულ რესურსებსაც ამას ადასტურებს კურიკულუმის ჩარჩოში არსებული ვიდეო თუ აუდიო რესურსები **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები აძლიერებს შემოქმედებითი დავალებების შესრულების თანმიმდევრულობას და ეფექტურობას. სამივე საფეხურზე ძირითადი სასწავლო

	რესურსი არის გრიფირებული სახელმძღვანელოები, თუმცა მათ გარდა გამოიყენება მრავალი დამატებითი რესურსი, რაც საგანს მრავალფეროვანს და მოსწავლისთვის ხელმისაწვდომს ხდის. სკოლა ამოწმებს და ადასტურებს, რომ დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება სასწავლო მიზნებს, სტანდარტებსა და პროგრამას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი რესურსები; მათ შორისაა როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ისე - ციფრული და მატერიალური რესურსები, ვიდეო თუ აუდიო მასალა, რომლებიც უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის სასწავლო პროცესს და კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უწყობს ხელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლები იყენებენ არა მხოლოდ სახელმძღვანელოს , არამედ ელექტრონულ რესურსებს , ვიდეო გაკვეთილებს , რაც მოსწავლეებს ეხმარებათ მათემატიკის უფრო მარტივად და სახალისოდ შესწავლაში. ასევე კათედრაზე იყენებენ მასწავლებლები მათ მიერ შექმნილ რესურსებს, რომელიც გასაუბრების დროს წარმოადგინეს . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული, მატერიალ;ური რესურსით - ინფრასტრუქტურითა და სპორტული ინვენტარით.. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით, მასწავლებლის წიგნს დაწყებითი საფეხურისათვის. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შდეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილბულია**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია გრძელვადიანი და შუალედური მიზანი, გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და ცდილობენ გამოიყენონ ეს მიდგომები სწავლა-სწავლების დაგეგმვის პროცესში. თვლიან, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, სწავლის სტილით , ინტერესით. მაგალითად, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა შემოქმედებითი პროდუქტი წარმოადგინონ მათთვის სასურველი ფორმით (საპრეზენტაციო ფურცელზე, ელექტრონული ფორმით....).

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა მრავალფეროვნების აღიარებას და უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას მრავალფეროვანი აქტივობები, მასწავლებლები იყენებენ ხარაჩოების პრინციპს. მოსწავლეებს მიეწოდებათ სხვადასხვა სირთულის დამხმარე ინსტრუქციები და რესურსები, რაც მათ საკუთარი ტემპით განვითარების საშუალებას აძლევს. კათედრა მუშაობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) საფუძველზე, სადაც კომპლექსური დავალებები ადაპტირებულია მოსწავლის შესაძლებლობებზე, რათა მან შეძლოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების გააზრება თავის დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კათედრის წევრებთან ინტერვიუმ ცხადი გახადა, რომ ისინი იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. ამას ადასტურებს ის აქტივობები რომლებსაც ახორციელებენ ისინი სასწავლო პროცესის დროს. მოსწავლეებს აქვთ უფლება თავიანთი სურვილზე და შესაძლებლობებზე დაყრდნობით აირჩიონ ესა თუ ის აქტივობა და დავალების წარდგენის ფორმატი ეს იქნება ციფრულად თუ მატერიალურად ,რაც ასევე ზრდის მათ მოტივაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, კურიკულუმებში სრულად გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები. ორივე საგანში წარმოდგენილია მრავალფეროვანი აქტივობები და დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა ტიპის მოსწავლის თანაბარ ჩართულობასა და განვითარებას, ამარტივებს სწავლის პროცესს და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესში. გარდა ამისა, ესთეტიკის კათედრამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო

	გეგმები კონკრეტული მოსწავლეებისთვის, რომლებიც დამუშავებულია დიაგნოზის საფუძველზე მრავალი სუბიექტის (მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი და სხვა) ჩართულობით და მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს, ქმნის ინკლუზიურ გარემოს. ამის დასტურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები/აქტივობები, რესურსები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეზე და იწვევს მათ დაინტერესებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს, საკუთარი ინტერესებიდან, მზაობიდან გამომდინარე აარჩიონ დავალება, საჭიროების შემთხვევაში ახდენენ სასწავლო შინაარსისა და დავალებების ადაპტირებას. სასწავლო მასალის წარდგენისას იყენებენ ვიზუალურ, პრაქტიკულ და თეორიულ მასალას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის სტილის, მოდალობების გათვალისწინებასა და ეფექტურ ჩართულობას. არდა ამისას, საუბრისას მასწავლებლებმა აღნიშნეს დიფერენცირებულ მიდგომებზე სახელმწიფო ენის სწავლებისას. ოიყვანეს შესაბამისი მაგალითებიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები . დოკუმენტებში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ასევე აღნიშნეს კათედის წევრებმა, რომ მუშაობის პროცესში უწევთ დავალების ადაპტირება. ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო გახდა პირობის გართულება და პირიქით, ასევე მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ დავალება წარმოედგინათ სხვადასხვა ფორმით , ფორმატზე, ელექტრონულად, ნახატებით , მაკეტით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სპორტი	პედაგოგებთან საუბრიდან ნათელია, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი. თუმცა, როგორც პედაგოგმა აღნიშნა საუბრისას, სკოლის სსსმ მოსწავლე, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე არ საჭიროებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, გაწერილია და დასტურდება მასწავლებელთან გასაუბრებითაც, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლის დიფერენცირებულ / ინკლუზიურ მიდგომებს, კერძოდ ინტერვიუს დროს მასწავლებელი საუბრობს დიფერენცირებულ მიდგომებზე კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლებისას. ინტერვიუს დროს მასწავლებელს მოჰყავს მაგალითები თუ როგორ ითვალისწინებს და ახორციელებს დიფერენცირებულ მიდგომას კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლების მიერ დაგეგმილი აქტივობებში ნათლად ჩანს სწავლების მრავალფეროვანი, დიფერენცირებული მიდგომები. სსსმ მოსწავლეებისათვის წარმოდგენილ ადაპტირებული კურიკულუმები შემუშავებულია მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, პრინციპებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. ასევე შეფასების სისტემებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა მიღწევების დონე და საფეხურის შედეგების ინდიკატორები. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, უმეტესწილად იყენებენ ზეპირ უკუკავშირებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკაზე დაყრდნობით. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკიდან ჩანს, რომ შეფასება ეფუძნება საგნის სტანდარტით განსაზღვრულ მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით. **რჩევა: სასურველია, ყველა საფეხურის შეფასების რუბრიკებში, უფრო მეტი სიზუსტით იქნეს გაწერილი შესაფასებელი აქტივობა სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან მიმართებით.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე მოქმედი შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) პრინციპებ, შეფასება ორიენტირებულია არა მხოლოდ შედეგზე, არამედ სწავლის პროცესზე. თითოეული კომპლექსური დავალებისთვის შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, რომლებიც მოსწავლეებს წინასწარ ეცნობათ. რუბრიკებში, როგორც განმსაზღვრელში, ასევე განმავიტარებელში მკაფიოდ ჩანს სამიზნე ცნებები და შედეგი. შეფასების პროცესში გამოიყენება თვითშეფასების და ურთიერთშეფასების სქემები, რეფლექსიის დღიურები, რაც ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სამივე საფეხურის კურიკულუმებს თან ახლავს განმავითარებლი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები, რომლებიც სრულიად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ

	სამიზნე ცნებებს, ასევე მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებს თან ახლავს მათი ნამუშევრის ანალიზები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ეფუძნება კონსტრუქტივიზმის პრინციპებსა და დაფუძნებულის ცნებებსა და ქვეცნებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. **რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ სამივე საფეხურისთვის ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე სკოლა ახორციელებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც შესაძლებობას აძლევს მასწავლებლებს, გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. კათედრის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	სკოლას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ სმოთხოვნებს და აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები დასტურდება მოწოდებული რუბრიკით, რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის საფეხურის ფარგლებში ამ ტიპის შეფასების გამოყენებაზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს. ამ რუბრიკებზე დაფუძნებით შეფასება გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით კლასებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. **რჩევა: სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მე და საზოგადოების კურიკულუმი*
- *ჩვენი საქართველოს კურიკულუმი*
- *გაკვეთილის შეფასების ფორმა*
- *შეფასების კრიტერიუმები*
- *ვერიფიკაციის წესი*
- *კათედრის ოქმი*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სკოლის მიერ არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა*
- *სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმი*
- *შეფასების კრიტერიუმები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მიმართულებით (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა, რაც ეხმარება მათ ცოდნის კონსტრუირებაში და მიღებული ცოდნის ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე სასწავლო პროცესის დაგეგმვა სრულ კორელაციაშია სასკოლო კურიკულუმთან, რაც დასტურდება შემდეგი მაჩვენებლებით, სასწავლო პროცესი ეფუძნება კურიკულუმში გაწერილ თემატურ მატრიცებს. თითოეული თემა სრულდება კომპლექსური დავალებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების ორიენტირებას გრძელვადიან მიზნებზე.

	კათედრის წევრების მიერ სასწავლო პროცესი დაგეგმილია ლოგიკური თანმიმდევრობით, სადაც თითოეული აქტივობა ამზადებს მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესასრულებლად. ისეთი აქტივობები, როგორიცაა „ნარინჯისფერი კვირეული“, ადასტურებს, რომ კურიკულუმით დაგეგმილი ღირებულებები სოციალური პასუხისმგებლობა, ადამიანის უფლებები, რეალურად ტრანსფორმირდება სასწავლო პრაქტიკაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაცის , მოსწავლეთა ნამუშევრებისა და ინტერვიუზე დაყრდნობით თამამად შეიძლება ითქვას, რომ უცხო ენის კათედრა სასწავლო პროცესს წარმართავს სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. მოწოდებული მასალების მიხედვით, სხვადასხვა მსხვილი სასწავლო თემის აქტივობები დაგეგმილია როგორც შინაარსობრივი, ასევე ქრონოლოგიური თვალსაზრისით და სრულად არის ორიენტირებული სასწავლო მიზნებზე. კონტექსტუალური მაგალითები და სასწავლო რესურსები შინაარსობრივად შეესაბამება ერთმანეთს, რაც ცხადყოფს მიზანმიმართულ დაგეგმვას და კურიკულუმის სისტემურ განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	საგნობრივი კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. წარმოდგენილი დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები და ის აქტივობები, რომლებზეც პედაგოგებმა საუბრის დროს აღნიშნეს, ნამდვილად გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე, საწავლო პროცესში შემოქმედებითი დავალების განხორციელების ეტაპები იგეგმება ისე , რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. შერჩეულია ისეთი დავალებები, რომ მოსწავლებმა შეძლონ ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ მოსწავლე ასრულებს კონკრეტულ აქტივობებს და უკვე იცის , როგორ შეასრულოს ესა თუ ის პირობა. ბოლო ეტაპზე კი შეძენილ ცოდნას იყენებს , საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (რომელიცაა შიდასასკოლო ფესტივალები და კომფერენციები), სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის გარე, არაფორმალური განათლების მიმართულებითაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. რაც დასტურდება გასაუბრების დროს. ასევე მაგალითად მეექვსე კლასში მასწავლებლის მიერ გადმოგზავნილი შემოქმედებითი ტიპის დავალება შეფასების რუბრიკა ასახულია მეექვსე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმის მოდიფიცირება მოსწავლეთა საჭიროებებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

კურიკულუმის განვითარება მოიცავს ოთხ ფაზას: შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, და გადასინჯვა და რევიზია. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს. ისინი აგროვებენ მონაცემებს და აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე. ამ გამოცდილების საფუძველზე, სასწავლო წლის დასრულებისთანავე, იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. კათედრის თავმჯდომარეები ატარებენ კათედრის სხდომებს, რათა შეისწავლონ დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემები და დანერგონ ინოვაციები. დირექტორის მოადგილეები აწყობენ სამუშაო შეხვედრებს კათედრის ხელმძღვანელებთან, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები და მუშავდება რეკომენდაციები პრობლემების გადასაჭრელად. დირექტორის მოადგილეები, კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით, ყოველწლიურად განაახლებენ კურიკულუმს და ამზადებენ დასამტკიცებლად. ეს პროცესები უზრუნველყოფს, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს გამოვლენილ საჭიროებებზე და მუდმივად აუმჯობესებს სასწავლო პროცესს. მასწავლებლები მუდმივად ახდენენ კომპლექსური დავალებების პირობების ადაპტირებას კლასის დინამიკისა და მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ ყოველთვის ობიექტური უკუკავშირი მიაწოდონ მოსწავლეებს.

	რუბრიკები შემუშავებულია ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასება პირდაპირ მიემართება კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით, რაც გამორიცხავს შემთხვევითობას. შეფასება ეყრდნობა მოსწავლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და არა სუბიექტურ განწყობებს. კათედრის ოქმებში ჩანს ამ მიმართულებით მუშაობა, სასკოლო სასწავლო გეგმაშიც, წარმოდგენილია შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	მოსწავლეთა შეფასებას უცხო ენის კათედრა აწარმოებს საგნობრივ სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით . განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების კრიტერიუმები გაწერილია სამიზნე ცნებების მიხედვით. აქვთ შეფასების მრავალმხრივი ინსტრუმენტები რაც ყველასთვის თვალსაჩინო და გამჭირვალეა. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი ,როგორც მოსწავლეების ისე მშობლებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების კრიტერიუმები გაწერილია სამიზნე ცნებების მიხედვით. სკოლას აქვს ენტები რაც ყველასთვის თვალსაჩინო და გამჭირვალეა შეფასების მრავალმხრივი ინსტრუმენტი. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი, მოსწავლეებისთვისაც და მშობლებისათვისაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან

	მიმართებით. შეფასება ემყარება მოსწავლეთა ინდივიდუალურ წინსვლასა და პროგრესს, იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და მეთოდები - ტესტები, პროექტები, ურთიერთშეფასება, თვითშეფასება, რაც უზრუნველყოფს პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას. მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებსა და მიზნებს, რაც ზრდის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკაში , სამივე საფეხურზე შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახული, მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. შეფასების რუბრიკები გაზიარებულია კათედრაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების რუბრიკები შემუშავებული ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლამ გადმოაგზავნა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზანს. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი. დოკუმენტის თანახმად მას განსაზღვრული ჰყავს ვერიფიკატორთა გუნდი, რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით. აღსანიშნავია, რომ ვერიფიკაციის დოკუმენტი შექმნილია 2023 წელს, თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია ვერიფიკაციის განხორციელების რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება.

რჩევა: ***სამომავლოდ, სკოლამ განახორციელოს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტის მიხედვით გაწერილი აქტივობები.***

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში ვიზიტისას, სკოლამ წარმოადგინა გასული წლების შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების მტკიცებულებები. კერძოდ, სკოლა ინახავს, საგნობრივ კათედრებზე, შესრულებულ შემაჯამებელ დავალებებსა და მათი შეფასების რუბრიკებს. ასევე, კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სერიფიკაციის დოკუმენტი;*

- *შეფასების რუბრიკები;*
- *ინტერვიუ ვიზიტის დროს.*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე ხდება სასწავლო პროცესში კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი რესურსების (სახელმძღვანელო, სამუშაო რვეულები) და დამხმარე რესურსების გამოყენება. მასწავლებლებმა საუბრისას აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში აქტივობებს ისე გეგმავენ, რომ შესაძლებელი იყოს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება შესაძლებლობის ფარგლებში. სწავლა სწავლების პროცესში იყენებენ ვიზუალურ მასალას, პლაკატებს, აუდიო და ციფრულ მასალებს. შერჩეული რესურსები შესაბამისია გაკვეთილის მიზნის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, თემის უკეთ შესწავლას, გააზრებას და კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. რესურსების გამოყენება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელების დროსაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე სასწავლო პროცესი ეფუძნება რესურსების მრავალფეროვნებას, რაც უზრუნველყოფს ესგ-ის მიზნების მიღწევას, სასწავლო პროცესის საფუძველია გრიფირებული სახელმძღვანელოები, რომლებიც გამოიყენება თეორიული ჩარჩოსა და საბაზისო ცოდნის შესაქმნელად. კომპლექსური დავალებების სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიურად გამოიყენება ალტერნატიული წყაროები, ვიდეო-რეპორტაჟები, დოკუმენტური ფილმები და საგანმანათლებლო პლატფორმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	კათედრას აქვს შესაძლებლობა სწავლების პროცესში გამოიყენოს, როგორც ძირითადი ასევე მრავალფეროვანი ციფრული აუდიო და ვიდეო რესურსები, რომლებიც როგორც თემატურად ისე მიზნობრივად სრულიად შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, სკოლა ამოწმებს და ადასტურებს, რამდენად შეესაბამება დამატებითი (დამხმარე) სასწავლო რესურსი სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებსა და პროგრამას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	საგნობრივ კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი მრავალფეროვანი რესურსები (სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული რესურსები), რომლებიც მნიშვნელოვნად ავსებს და ამდიდრებს საგნობრივ კონტენტს. აღნიშნული რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს სწავლების პროცესის დინამიკურობას და ინტერესის ზრდას მოსწავლეთა შორის, ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობასა და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმში, სამივე საფეხურზე, ძირითადი რესურსი არის სახელმძღვანელო, ასევე მითითებულია სხვადასხვა ონლაინ პლატფორმები. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ math.ge-ს რესურსებს, გეოგებრას, ასევე თავად ქმნიან მრავალფეროვან რესურსებს . **ინდიკატორის დაკმაყოფილებულია**
სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ

	ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით, თეორიისთვის პრეზენტაციებს, რომლების თავად მასწავლებლების მიერ არის შექმნილი. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით რაც დასტურდება მაგალითად, სკოლის მიერ გადმოგზავნილ კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული რესურსებით და გასაუბრების დროს მასწავლებლის მიერ დასახელებული დამხმარე სასწავლო რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც მორგებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა დამხმარე რესურსების შერჩევისას ითვალისწინებს, რომ შერჩეული რესურსი შესაბამისი იყოს ეროვნულ სასწავლო გეგმის მიზნებთან და საგნობრივ სტანდარტებთან. დამხმარე რესურსების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ კოგნიტურ შესაძლებლობებს, ციფრული და

	აუდიო რესურსის შერჩევისას ამოწმებენ რამდენად საიმედო და სწორი ინფორმაციაა ასახული მათში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ვალიდაცია ხდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით. დამხმარე მასალები განიხილება კათედრის სხდომებზე, სადაც ხდება მათი ეფექტიანობის შეფასება. პრიორიტეტი ენიჭება ვერიფიცირებულ წყაროებს -ეროვნული ბანკი, საერთაშორისო ორგანიზაციები, რაც ინფორმაციის სიზუსტის გარანტიაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ინტერვიუდან და კათედრის სხდომის ოქმებიდან გამოიკვეთა, რომ უცხო ენის კათედრა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევას,შეფასებასა და ვალიდაციას, რესურსები მოწმდება მათი ხარისხის სანდოობისა და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის მიხედვით რათა ისინი ხელს უწყობდეს მოსწავლეთა კომპეტენციების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, სკოლა ამოწმებს და ადასტურებს, რამდენად შეესაბამება დამატებითი (დამხმარე) სასწავლო რესურსი სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებსა და პროგრამას. გამორჩეული პრაქტიკა - დაწყებით საფეხურზე სკოლაში ხელოვნებას ასწავლის მხატვარი, რომელიც განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს მხატვრული ნაწარმოებების შექმნისას სხვადასხვა ტექნიკის და ხერხების შესწავლას. აწყობს გამოფენებს სკოლაში და ხელს უწყობს მოსწავლეებს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ კონკურსებში, სადაც სკოლის მოსწავლეებმა არაერთ წარმატებას მიაღწიეს. აიღეს საპრიზო ადგილები. **რჩევა:** • **საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია სკოლაში მრავალფეროვანი რესურსების სისტემური შემოტანა.**

	• სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებასა • სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე. • რეკომენდებულია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა. • სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები. • მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის. • მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე სკოლის მიერ შემუშავებული ვალიდაციის წესის განხილვის შესაბამისად. ასევე მასწავლებელთა და მოსწავლეთა უკუკავშირით რესურსის გამოყენების შემდეგ, პრაქტიკაში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების გაზიარება უზრუნველყოფს დამხმარე რესურსის ვალიდაციას. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის შესაბამისი და ვალიდური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კურიკულუმში ჩაშენებული რესურსები შეთანხმებულია კათედრაზე და შერჩეულია ისეთი მიზნობრივი რესურსები, რომლებიც უკვე გამოიყენეს და ნახეს მათი ეფექტუობა, ისინი იყენებენ ისეთ დამხმარე რესურსებს, რომლების რეკომენდირებულია განათლების სამინისტროს მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სპორტი	გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდურია სასწავლო თემებისა და სამიზნე ცნებების მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. ვალიდაცია ხდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა ხორციელდება საგნობრივი კათედრების შეხვედრების ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე, ბუნებისმეტყველებაში სასწავლო პროცესი ეფუძნება რესურსების მრავალფეროვნებას, რომლის საფუძველია გრიფირებული სახელმძღვანელოები, კომპლექსური დავალებების სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიურად გამოიყენება ალტერნატიული წყაროები, ვიზუალური, ციფრული რესურსები და საგანმანათლებლო პლატფორმები. ასევე სკოლა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო მიზნების მიღწევა შესაძლებელი იყოს შესაბამისი მატერიალური რესურსების მეშვეობით. აღნიშნული

	რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს სწავლების პროცესის დინამიკურობას და ინტერესის ზრდას მოსწავლეთა შორის, ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობასა და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. **საბაზო-საშუალო საფეხურზე, სირთულეს წარმოადგენს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების მოწყობა - სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტები (ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია). თუმცა, აღნიშნული კაბინეტები სრულად არ არის აღჭურვილი შესაბამისი ლაბორატორიული ინფრასტრუქტურით. კერძოდ, ოთახებში არ არის მოწყობილი ცეცხლგამძლე სამუშაო მაგიდები, არ არის ონკანი, არ ფუნქციონირებს გამწოვი სისტემა.** ***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურულად საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების გამართვას: წყალმომარაგების (ონკანის) და გამწოვი სისტემების მოწყობას, ხოლო სამუშაო მაგიდების აღიჭურვას ცეცხლგამძლე და მჟავაგამძლე საფარით.*** **შესრულების ვადა - 03.2027** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური ბაზა სრულად უზრუნველყოფს კურიკულუმის მიზნების მიღწევას, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის დაცვით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	გასაუბრებაზე კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ უცხო ენის სწავლების პროცესში გამოყენებული შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური რესურსები მოსწავლეთა ოპტიმალურ რაოდენობასთან ერთად ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, სკოლა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო მიზნების მიღწევა შესაძლებელი იყოს შესაბამისი მატერიალური რესურსების მეშვეობით. არსებული რესურსები ადეკვატურად ერგება მოსწავლეთა მაქსიმალურად დასაშვებ რაოდენობას, რათა სასწავლო პროცესის ხარისხი არ დაზარალდეს. **რჩევა:** • **სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებაზე** • **სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე.** • **რეკომენდებულია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა.** • **სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები.** • **მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში — ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის.** • **მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	დოკუმენტაციის განხილვისა და კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	მათემატიკის კათედრაზე, რესურსებს ,რომლებიც აქვთ შექმნილი ან შეძენილი, იყენებს სხვადასხვა მასწავლებელი. მათ აღნიშნეს, რომ ყველა მოსწავლისთვის არის თანაბარი შესაძლებლობა, რომ ჩართული იყვნენ საგაკვეთილო პროცესში. გამოიკვეთა თანამშრომლობითი გარემო და იგრძნობოდა, რომ რესურსების , ასევე გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა დანერგილია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით და ინვენტარით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით რაც იძლევა საშუალებას მოსწავლეთა ინდივიდუალური მუშაობის კომპიუტერებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებელი არის კანონმდებლობის მოთხოვნასთან შესაბამისად დადასტურებული კომპეტენციებით. სკოლას ჰყავს 14 წამყვანი და 22 უფროსი მასწავლებელი. სკოლას არ ჰყავს მენტორი მასწავლებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოქალაქეობის კურიკულუმი*
- *ისტორიის კურიკულუმი*
- *საქართველოს ისტორიის კურიკულუმი*
- *გეოგრაფიის კურიკულუმი*
- *გაკვეთილის შეფასების ფორმა*
- *შეფასების კრიტერიუმები*
- *ვერიფიკაციის წესი*
- *საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ოქმი*
- *მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნების კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, ჩატარებული ღონისძიებების, განხორციელებული პროექტების ფოტომასალა.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *პროექტის ანგარიში გეგმა მოქალაქეობა*
- *სკოლის მიერ არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა*

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)

- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლაში სასწავლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი დეტალურად არის გაწერილი და რამდენიმე ეტაპს მოიცავს. დოკუმენტი აღწერს პროცესებზე პასუხისმგებელ პირებს და მათ ფუნქცია-მოვალეობებს. მონიტორინგი ამოწმებს, მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად. შეფასება კი უპასუხებს კითხვას, რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს.

კურიკულუმის განვითარება მოიცავს შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგის და შეფასების, ასევე გადასინჯვისა და რევიზიის ფაზებს. მონიტორინგის და შეფასების პროცესი დანერგვის ფაზის განუყოფელი ნაწილია. კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული არიან პასუხისმგებელი პირები:

მასწავლებელი: ვალდებულია აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია მოსწავლეთა მიღწევების შესახებ, რითაც უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზის განახლებას. ასევე, მონაწილეობს კათედრის სხდომებზე სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზში და ითვალისწინებს მიღებულ რეკომენდაციებს.

კათედრის თავმჯდომარე: აგროვებს კათედრის წევრების მიერ მოწოდებულ მასალებს და უზრუნველყოფს სხდომების ჩატარებას, სადაც ხდება პრობლემების შესწავლა და ინოვაციების დანერგვა. იგი შუამავალი რგოლია სკოლის დირექციასა და პედაგოგებს შორის.

დირექტორის მოადგილე: მისი ფუნქციაა კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული მასალების გამთლიანება , სამუშაო შეხვედრების ორგანიზება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის განსახილველად და რეკომენდაციების შემუშავება პრობლემების გადასაჭრელად. ის ასევე ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და უზრუნველყოფს კურიკულუმის ყოველწლიურ განახლებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება პირდაპირ განსაზღვრავს პრობლემების გადაჭრის გზებსა და საშუალებებს. მთელი წლის განმავლობაში მასწავლებლები აკვირდებიან დანერგვის პროცესს, აგროვებენ მონაცემებს და აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე. ამ ანალიზის საფუძველზე ისინი განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას პრობლემების გადასაჭრელად. დირექტორის მოადგილე კი ხელმძღვანელობს სამუშაო შეხვედრებს კათედრის ხელმძღვანელებთან, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიის თანახმად, მასწავლებლები ვალდებულნი არიან, აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილონ მშობლებთან, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთონ კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლა თავად უნდა აკონკრეტებდეს, რა ფორმით მოხდება მშობლების ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია ეხმარება სკოლის დირექციასა და დირექტორის მოადგილეს, მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც ეფუძნება სასწავლო პროცესის საჭიროებებს. ეს პროცესი უზრუნველყოფს კურიკულუმის ყოველწლიურ განახლებას და დასამტკიცებლად მომზადებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოქალაქეობის კურიკულუმი*
- *ისტორიის კურიკულუმი*

- *საქართველოს ისტორიის კურიკულუმი*
- *გეოგრაფიის კურიკულუმი*
- *პროექტები საგან მოქალაქეობაში*
- *მუსიკის კურიკულუმი*
- *სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმი*
- *საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ოქმი*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლამ წარმოადგინა შეფასების სხვა და სხვა ინსტრუმენტი საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. სასწავლო წლის მანძილეზე შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვნება და სხვა და სხვა პროექტული ტიპის დავალებების განხორციელება როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლევებელს აძლევს შესაძლებლობას შეაფასოს მოსწავლე მრავალფერვან წყაროებზე დაყრდნობით. საგანთაშორისი პროექტების შეფასება, ხდება რამდენიმე საგნის ჭრილში, რაც მოსწავლის პროგრესის სრულ სურათს იძლევა. მაგალითად, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს კომპლექსურ -ჰოლისტურ ხასიათს და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. კვლევითი ანგარიშები და შემოქმედებითი ტიპის პროდუქტები ფასდება არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნა, არამედ ფუნქციური უნარები და ღირებულებითი პოზიციები. პროექტში „ნარინჯისფერი კვირეული“ ფასდება როგორც მოსწავლის კვლევითი უნარი, ისე მისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა და ეთიკური მსჯელობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ ტრადიციული შეფასების მეთოდებით (ტესტები, გამოკითხვა), არამედ აქტიურად იყენებს მრავალფეროვან დავალებებს, რომლებიც აფასებს მოსწავლის კომპლექსურ უნარებს, როგორიც არის შემოქმედებითი უნარები, კვლევითი უნარები, კომუნიკაციის უნარები და სხვა. მოსწავლის შეფასება ხდება არა იზოლირებულად, არამედ სხვადასხვა კონტექსტით. მოსწავლე ფასდება როგორც თეორიული ცოდნის მაგ: დემოკრატიის პრინციპების ცოდნა, ისე მისი პრაქტიკული გამოყენების პროცესში. აზოგადოებრივ მეცნიერებების კათედრაზე განხორციელებული პროექტი „ნარინჯისფერი კვირეული“ იძლევა საშუალებას, მოსწავლე შეფასდეს სოციალური აქტივიზმისა და ღირებულებების ჭრილში. როგორ ამჟღავნებს იგი ტოლერანტობას და პასუხისმგებლობას თემის მიმართ. შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლის როლი გუნდში და მისი პირადი წვლილი საერთო პროდუქტის შექმნაში, რაც სწავლის პროცესის სრულ სურათს იძლევა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა: წერილობითი დავალებები (თხზულება, ესე, ანალიტიკური კომენტარი), შემოქმედებითი პროდუქტები (ბროშურა, პოსტერი, ინფოგრაფიკა), პრაქტიკული დავალებები (პროექტი, კვლევა), ზეპირი პრეზენტაციები (შექმნილი პროდუქტების პრეზენტაცია და მოსწავლეებთან კითხვა-პასუხი).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლა იყენებს შეფასების მრავალ ინსტრუმენტს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნისა და უნარების მრავალმხრივ შეფასებას და არ შემოიფარგლება ერთი ტიპის დავალებით. კოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და შეფასების დოკუმენტები ცხადჰყოფს რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. წარმოდგენილი შემოქმედებითი და პროექტული ტიპის დავალებები ერთის მხრივ მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს სცადოს საკუთარი ძალები სხვადასხვა მიმართულებით და მეორეს მხრივ მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, მოსწავლე შეაფასოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური დავალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *კათედრის ოქმები*
- *შეფასების რუბრიკები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც აღწერილია სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რაც მოიცავს: სასკოლო კურიკულუმის არსსა და ფუნქციებს; სისტემური დონის რეგულაციებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმი; პროცესებზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებსა და პიროვნებებს, როგორებიც არიან კათედრის თავმჯდომარეები და დირექტორის მოადგილეები; პროცესში ჩართულ მხარეებს, როგორებიც არიან მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და დირექცია; კურიკულუმის განვითარების ძირითად ეტაპებს: შემუშავებას, დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას, გადასინჯვასა და რევიზიას; კავშირს სხვა დამხმარე და მმართველობით პროცესებთან.

კურიკულუმის განვითარების პროცესი უწყვეტია და სკოლა ვალდებულია, ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ და აანალიზებენ მონაცემებს დანერგვის პროცესის შესახებ, რის საფუძველზეც სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე.

რჩევა:

- **სასურველია, ანალიზი მოიცავდეს არა მხოლოდ მონაცემებს მოსწავლეთა მიღწევების შესახებ, არამედ მასწავლებელთა გამოწვევებსა და ინოვაციების დანერგვის პერსპექტივებსაც. ეს უზრუნველყოფს კურიკულუმის მუდმივ გაუმჯობესებასა და რეაგირებას რეალურ საჭიროებებზე.**
- **ასევე, სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტისთვის, სასურველია, შემუშავდეს კონკრეტული სტრატეგიები და ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც პრობლემების იდენტიფიცირებას, ისე მათ გადაჭრაზე ორიენტირებული წინადადებების ფორმულირებას. ეს შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:**
- **უკუკავშირის რეგულარული ფორმების შექმნა: მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეებისგან უკუკავშირის შეგროვების სისტემატური პროცესი.**
- **მონაცემთა ბაზის შექმნა: შეგროვებული მონაცემების ორგანიზებული შენახვა და ხელმისაწვდომობა.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. მთელი წლის განმავლობაში, პედაგოგები აანალიზებენ დანერგვის პროცესს კათედრის სხდომებზე. ისინი აგროვებენ მონაცემებს და განიხილავენ ინოვაციების დანერგვის პერსპექტივას პრობლემების გადასაჭრელად. ამ გამოცდილების საფუძველზე, სასწავლო წლის დასრულებისთანავე, პედაგოგები იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *კათედრის ოქმები*
- *კურიკულუმი განვითარების მეთოდოლოგია*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 01.04.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: